# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— შაბათი, 18 ნოემბერი 1900 წ. № 1302

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**

## 1901 წლისათვის
## მიიღება ხელის მოწერა
## „მოამბე“ - „ცნობის ფურცელი“-ზე

| ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ (წელიწადი მერვე) | | ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეექვსე) | |
|---|---|---|---|
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | | ფასი გაზეთისა გაგზავნით: | |
| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: | კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: |
| 1 წლით . . 10 მ. | 1 წლით . . 13 მ. | 1 წლით . . 6 მ. | 1 წლით . . 9 მ. |
| 6 თვით . . 6 „ | 6 თვით . . 7 „ | 6 თვით . . 4 „ | 6 თვით . . 7 „ |
| 3 „ . . 3 „ | 3 „ . . 5 „ | 1 „ . . 75 კ. | 1 „ . . 90 კ. |

**წლიური ფასის განაწილება:** პირველად—5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.

**წლიური ფასის განაწილება:** პირველად—3 მანეთი, პირველ აპრილამდე—3 მანეთი. თითო ნომერი—3 კაპ.

**ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უ ფ ა ს ო დ გ ა ე გ ზ ა ვ ნ ე ბ ა, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მ., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1901 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4—5 კ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.
ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

## ქართული თეატრი

**კვირას, 19 ნოემბერს,**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ.-ნ **ეფემია მესხის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

I

## კონსტანტინე ბატონიშვილი

ისტორ. დრამა 5 მოქმ. ალ. ყაზბეგისა

II

## ძალად ავაზაკი

კომედია 1 მოქმედ. გადმ. მართა ჟღენტის-მიერ

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.-ბ ნნი **ეფ. მესხი**, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი, მდივანი და სხვ.; ბ-ნნი: სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ გლ. ალესი-მესხიშვილის მონაწილეობით „**კაეშანი**“, „დენიზა“, „მადამ-სანჟენი“ და სხვ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

გ. ი. ჯაჯანაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღაინი—ყურის, ყელის და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი— თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისის, კანის და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი— შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ნოემბერი

**პეტერბურგი** ხელმწიფე იმპერატორის განკურნების შესავედრებლად პარაკლისები გადაიხადეს ტფილისში, კაზანში, ბობრუისკში და სოხუმში.

**პეკინი.** ელჩების განცხადების შემდეგ, რომ ისინი კმაყოფილნი არ არიან იმპერატორის კუანგ-სუს უკანასკნელის ბრძანებით, რომელშიაც აღნიშნულია, თუ რა სასჯელს მიუსაჯავენ დამნაშავე პრინცებსა და მანდარინებს; ლიხუნჩანგს და ცინს გაუგზავნიათ დეპეშები იმპერატორისათვის და მოუხსენებიათ მისთვის, რომ ელჩები თხოულობენ სასჯელთა გაძლიერებასა. შემდეგ ისინი ამბობენ დეპეშებში, რომ იმპერატორი ან თვითონ უნდა ჩამოვიდეს პეკინში და ან უნდა დაავალოს ვისმე მისი სახელით იმოქმედოს. ბოლოს ისინი იმპერატორის ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ადმირალებს განზრახვა აქვთ ნება არ დართონ, რომ სურსათ-სანოვაგე გაგზავნილ იქმნას სი[...]ნანფუში მეფის სახლობისათვის. ლიკუნიის პროვინციის მმართველმა აგრეთვე გაუგზავნა იმპერატორს მოხსენება ადმირალების მოქმედების შესახებ.

**პარიზი.** კრიუგერი მიდის პარიზიდან შაბათს. ის წავა კელნში, სადაც დაჰყოფს კვირასა და ორშაბათს, შემდეგ გაემგზავრება მაგდებურგში და ბერლინში, სადაც სამშაბათს ჩავა.

**პეკინი.** პაოტინფუდან იტყობინებიან, რომ 3000 გერმანელი, გენერალ-მაიორის კეტელერის წინამძღოლობით, და 2000-მდე ფრანგი, გენერალ ბაიიუს წინამძღოლობით, პაოტინფუში დაიზამთრებენ.

**კაპშტადტი.** გენერალმა ნოკსმა გზა შეუკრა დევეტს ორანჟეს მდინარესაკენ.

**პარიზი.** პალატა. დენის ჰსურს დაეკითხოს მთავრობას—რას აპირებს იგი ბურების სასარგებლოდ მოსაწვევ მედიატორთა სამართლის შესახებ. დელკასე აცხადებს, რომ სრულიად მეტია ამ საგნის შესახებ კამათის გამართვაო. „არ უნდა დავივიწყოთო, -სთქვა დელკასემ, რომ ის, რაც სასარგებლო არ არის, ხშირად საშიშიც არისო“. დენი მაინც ითხოვს კამათის გამართვას, მაგრამ შემდეგ, პალატის პრეზიდენტის შენიშვნის გამო, უკანვე მიაქვს თავისი წინადადება და თხოულობს მხოლოდ, რომ კრიუგერს თანაგრძნობა გამოეცხადოს; ეს წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული.

## სამახსოვრო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« «დეილი ნიუსი» წინასწარმეტყველობს, რომ პარლამენტის სესსიის დროს, რომელიც დაიწყება 3 დეკემბერს (ახალი სტილით), ოპოზიცია ძალიან მხნედ მოეკიდება თავის საქმესაო. უკანასკნელ არჩევნის დროს მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ იგი სრულებით დაამხობდა ლიბერალთა ოპოზიციას, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდა; პირიქით ოპოზიცია დაბრუნდა პარლამენტში საკმაოდ ძლიერი საიმისოდ, რომ მასთან ანგარიშის გაწევა საჭიროიყოს. იგი უარს არ ეტყვის მთავრობას მისთვის საჭირო ფულების შესახებ, მაგრამ მოურიდებლად კი მეეპურობა იმ პოლიტიკას, რომელიც ასეთ საშინელ ხარჯებს თხოულობს. ყველას, ვისაც ანგარიში უდგენენ, ნება აქვს იკითხოს—რაში და როგორ მოიხმარეს მისი ფული.

ჩემბერლენი ტყუილად მოელის დანდობას და თავაზიან მოქცევას.

მთავრობამ საჯაროდ უნდა განმარტოს, რანაირად სწადიან მას მოიქცეს, სამხრეთ-აფრიკას. შემოერთება ცალიერი სიტყვაა. სერ ედუარდ გრეიმ სრულიად მართლა სთქვა, რომ «შემოერთებას ყველა რევენი მოასრულებსო;» — სულ სხვა საქმეა მოვლა. ოპოზიციასაც სწორედ იმისი გაგება სურს, თუ რანაირად უპირობს მთავრობა მოვლას ამ შემოერთებულ პროვინციებს.

✕ გერმანულ გაზეთის «ფოლკსცაიტუს» მოჰყავს მაგალითი, რომელიც კარგად გვიჩვენებს, თუ რა უბრალო მიზეზები კმარა გერმანიაში იმისათვის, რომ აშენდეს საქმე ხელმწიფის შეურაცხყოფის თაობაზე. ცნობილი ნაფიცი ვექილი მარკგრაფი, ბერლინის ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანი, დაასმინეს, რომ მან შეურაცხჰყო მისი უდიდებულესობა იმით, რომ ფეხზედ არ ადგა ბერლინის საბჭოს სხდომის დროს, როდესაც იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვესო. დამბეზღებელი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

✕ ამ ჟამად მთელი ევროპის გაზეთებია და პრეზიდენტი კრიუგერი. ამ მცხოვანმა გმირმა მამულიშვილმა მიიზიდა მთელი განათლებული ქვეყნიერობის ყურადღება. მის მოსვლას მარსელში ასე აგვიწერენ გაზეთები:

«დილის ცხრა საათზედ მარსელის ნავთ-სადგურში გავარდა პირველი ზარბაზანი, რომელმაც შეატყობინა ხალხს კრიუგერის მოსვლა: სწორედ 9 საათზედ ჰოლანდიის კრეისერი «გელდერლანდი» მოადგა ზღაზის შემოსავალს. დოქტორი ლეიდსი, ბურების საგარეო მისიის წევრები, შვილი-შვილი და მდივანი კრიუგერისა ელოფი თავისი ცოლით კრეისერის ბანზედ არიან. ნავთ-სადგურთან მოვიდა ოთხი თავ-ახდილი ოთხადგილიანი ეტლი, რომლებითაც პრეზიდენტი და მისი ამალა სასტუმროში უნდა წავიდნენ. კრიუგერის ეტლი სხვებზედ ცოტათი უფრო მორთულია. სადგურზედ მოიტანეს წითელი ფარჩით გადაკრული სავარძელი და დადგეს ზედ წყლის პირას, რომ ხანგრძლივ, მძიმე მოგზაურობით დაქანცულმა პრეზიდენტმა მოისვენოს მაზედ გემიდან გადმოსვლის შემდეგ და მჯდომარემ მოისმინოს ურიცხვი სალამი. რამდენიმე სენატორი და დეპუტატი და მრავალი წარმომადგენელი სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებისა მოგროვდნენ სადგურზედ. ყველა გემებზედ, რომელნიც ზღვაში დგანან, შეჩერებულია მუშაობა: ზღვაოსანნი და მემანქანენი თავიანთ გემების ბანებზედ დგანან.

$10^1/_2$ საათზედ გამოჩნდნენ ნავები რომელშიაც პოლიციელები ისხდნენ. ამათ შორიახლო მოსდევდა თეთრი ნავი, რომელზედაც ჰოლანდიელი ზღვაოსანნი ჩანან. ამ ნავზედ ჰოლანდიის დროშა ფრიალებს. მასში რამდენიმე პირი ზის კერძო ტანისამოსით. გემებზედ და ზღვისპირის ქუჩაზედ გაისმა დამაყრუებელი მახილი: «გაუმარჯოს ბურებს, გაუმარჯოს პრეზიდენტს კრიუგერს!» ნავი ნაპირას მოტყურდა და იქიდან გადმოვიდა პრეზიდენტი კრიუგერი.

თავისი გარეგნობით ის სულ ცოტათი ემსგავსება იმ მრავალ სურათებს, რომელნიც ევროპაში აქვთ. მას აცვია სქელი საზამთრო პალტო ყომრალი ფერისა. კრიუგერმა ქუდი მოიხადა და წამოვიდა; იგი ოდნავ ებჯინება ყვითელი ჩალის ჯოხზედ, გრძელი თეთრი წვერი შემოხვეული აქვს მის მზე-მოკიდებულ სახეს; სათვალეები აქვს გაკეთებული. პრეზიდენტი ქუდ-მოხდილი მიდის მის სასალმოდ მოსულ ხალხის შუა და მისი თოვლივით თეთრი თმა, ქარისაგან აწეწილი, ახდენს დამსწრეებზედ, როგორც ჩანს, ღრმა შთაბეჭდილებას. კრიუგერი გამოიყურება შესამჩნევად უფრო ნაკლებ მკაცრ და უფრო მეტად კეთილი გულის კაცად, სანამ მას ჰხატავენ სურათებში».

✕ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს აღძრულა ფრიად საინტერესო კამათი, როგორ ან ვის გამოვართვათ საზღაური ჩინეთის ომისათვის გაწეულ ხარჯებისაო; ეს ხარჯები კი, როგორც ვიცით, ძალიან შესამჩნევია თავისი სიდიდით. დეპუტატი დეტურნელი ამტკიცებდა, რომ მისი მიღება ძრიელ ძნელიაო.

«თუნდაც რომ მივაღწიოთ ჩინეთის მთავრობამდე, როგორ უნდა გადავახდევინოთ მას? საზღაურის რაოდენობა ძნელი გამოსაანგარიშებელი არ არის. გერმანია თავის პირველ-დაწყებით ხარჯებს ანგარიშობს 200 მილიონამდე; სულ ექვსი სახელმწიფო იყო, მაშასადამე მათ ერთად დახარჯეს დაახლოვებით 1 მილიარდი 200 მილიონი. ამას რომ კერძო პირთა ზარალიც დავუმატოთ, მაშინ საზღაური ავა 2 მილიარდამდე, რაიცა მოითხოვს ყოველ წლიურად 80—100 მილიონის გადახდას. საიდან უნდა ავიღოთ ეს ფული? საბაჟოებიდან? ისინი იძლევიან წლიწადში 100 მილიონს; ორი მესამედი უნდება ჩინეთის გარეშე სესხის გადახდას; დანარჩენი—უნდება თვით საბაჟოების შენახვას. ეს ფულები რომ ავიღოთ —უფრო გავადიდებთ არეულობას და შეუძლებლად გავხდით ქვეყანაში კეთილ-დღეობის დამყარებას.

საბაჟოების შემოსავალს რომ ერთი ორად მოვუმატოთ, ევროპაულ საქონელზედ ბაჟის გადიდებით,—ეს ის იქნება, რომ ჩვენი საკუთარი ჯიბიდან გადავიხადოთ საზღაურები.

საზღაურის გადახდევინება შეუძლებელია და არც იქნება იგი გადახდილი. საზღაურების გადახდევინება გამოიწვევს ჩინეთის განაწილებას. აი სად არის საფრთხე! მოვითხოვოთ დამნაშავეთა დასჯა, მაგრამ ხელს ნუ ვახლებთ ჩინეთის ფულებს, იმიტომ რომ ეს ფული ბოლოს და ბოლოს მეტის მეტად ძვირად დაგვიჯდება ჩვენ.

## ახალი ამბავი

✦ ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდან კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ეკითხებიან თურმე—გადაწყდა თუ არა აბრეშუმის გრენის სავალდებულო შემოწმება კავკასიის სააბრეშუმო სადგურზეო. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭო საყოველთაოდ აცხადებს, რომ სავალდებულო შემოწმება მეაბრეშუმეთა შარშანდელ კრებაზე გადაწყდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა, რადგანაც სამიწად-მოქმედო სამინისტროს ჯერ არ დაუმტკიცებია იგიო.

✦ დღემდის გამოირკვა, რომ კავკასიის მომავალ სამეურნეო გამოფენისათვის საჭირო იქმნება 5,000 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა მარტო პავილიონების აშენებისათვის, სახელდობრ: მიწად-მოქმედების განყოფილებას დასჭირდება 200 ოთხ-კუთხი საჟენი, ბაღოსნობისა და ბოსტნეულობის განყოფილებას—500 ოთხ-კუთხი საჟ., მეღვინეობას—300, მეტყეობას—300, პირუტყვის მოშენებას—700, მერძეობას—250, მეაბრეშუმეობას—80, მეთევზეობას და ნადირობას—75, სამეურნეო მანქანებისა და იარაღებისათვის—500, საოჯახო და სახელოსნო მრეწველობისათვის—1000, სამთო მრეწველობისათვის—200, საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობისათვის—1000, საპედაგოგიო განყოფილებისათვის—100, სტატისტიკურ განყოფილებისათვის—40, სამოსწავლო და სამეცნიერო განყოფილებისათვის—20, ხელოვნების განყოფილებისათვის—50, პირუტყვთა მფარველ საზოგადოების პავილიონისათვის—25, პრესსის პავილიონისათვის—50 და 600 ოთხ-კუთხი საჟენი დასჭირდება რესტორანებსა და სხვა-და-სხვა გასართობ დაწესებულებათ.

✦ ერევნიდან გვატყობინებენ, რომ იქ პროკურორს აქვს გამოსაძიებლად საქმე შესახებ გამომძიებელის ბ-ნ პოზნიაკოვის მიერ საქმეების დაწვისა. პოზნიაკოვი გარდაიცვალა 11 ნოემბერს.

✦ პარასკევს, 17 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის თავმჯდომარემ მისწერა ქალაქის მოურავს იმის შესახებ, რომ რადგანაც კომისიამ წარსულ კვირაში დაამტკიცა ქალაქის სასწავლებელთათვის ერთი სათადარიგო მასწავლებლის თანამდებობა და რადგანაც ერთი მასწავლებელია საჭირო დიდუბის ქალაქის სასწავლებლისათვის დროებით ამ სასწავლებელის მასწავლებლის ნასიძის ავადმყოფობის გამო, გთხოვთ სთხოვოთ სახალხო სკოლების დირექტორს სათადარიგო მასწავლებელის თანამდებობაზე დამტკიცებულ იქმნეს ქ.ბ-ნი წინამძღვარიშვილისა, როგორც პირველი კანდიდატი ქალაქის სასწავლებელთა მასწავლებლის ადგილზე.

✦ ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდათ ქალაქის მასწავლებელთა გამგე კომისიას ზოგიერთ საგნების განსახილველად. სხდომაზე პირველად განიხილეს ქალაქის სახელოსნო სკოლის დირექტორის ბ. ოჰანეზოვის მიერ შევსებულ შესწორებული ამ სასწავლებლის-შენობის გაფართოვების გეგმის პროექტი, რომელიც კომისიამ დაამტკიცა და დაადგინა წარედგინოს ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად. შემდეგ კომისია შეუდგა ქალაქის სასწავლებელთა გალობის მეორე მასწავლებლის თანამდებობაზე მასწავლებლის ამორჩევის საქმეს. მთხოვნელი ყოფილა 12 კაცი, რომელთა შესახებაც კომისია დაჰკითხებია მუსიკალურ სასწავლებლის დირექტორს—ეცნობებინა რამ მათ შესახებ. რადგანაც მასწავლებელის კანდიდატების შესახებ დირექტორს არავითარი ცნობა არა ჰქონია, კომისიამ, თავისის მხრით განიხილა რა ეს საქმე, დაადგინა გამოსცადონ ყველა კანდიდატები. კომისიამ დაამტკიცა ამ სხდომაზე მომავალ 1901 წლის ქალაქის სასწავლებელთა ხარჯთ აღრიცხვა. დასასრულ, კომისია შეუდგა სასწავლებლებთა მკურნალისთვის შემუშავებულ წესის განხილვას. მოასწრეს სულ 15 § განხილვა და დანარჩენი გადაიდო სხვა დროისათვის.

✦ ამ დღეებში ტფ. ქალაქის გამგეობა მოახდენს კენჭის ყრას აბესალომოვის სახელზე არსებულ სტიპენდიების განაწილებისათვის ქალთა 1-ლ და ვაჟთა მე-2 გიმნაზიებში.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის ბუღალტერიას დაუსრულებია ამომრჩეველთა სიის შედგენა მომავალ საქალაქო არჩევნებისათვის.

✦ 14 ნოემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ავლაბრისა და ნავთლუღის 406 მცხოვრების თხოვნა ავლაბარზე ტრამვაის გაკეთების შესახებ. გამგეობამ დაადგინა გადასცეს ეს თხოვნა ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორს ბ-ნს რობის.

✦ კიევის ვაჭართა მამასახლისს წინადადება მიუცია სხვა ქალაქების ვაჭართა მამასახლისებისათვის შევადგინოთ საზოგადოება საქონლის საურთიერთო დაზღვევისათვისო. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საქონლის დაზღვევა კერძო საზოგადოებებში მეტად ძვირად ღირს.

✦ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიის მმართველმა ამ დღეებში შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციას ნება დაერთო მოამზადოს და გადასცეს ტფილისის ქალაქის გამგეობას სულ 800.000 მან. ობლიგაციები მესამე სესხისა, რომლის გამოცემის ნება მიეცა ტფილისს.

✦ ამიერ კავკასიის სადგურ ალიატიდან სწერენ ადგილობრივ რუსულ გაზეთებს, რომ 15 ნოემბერს, დილის 8 საათზე, ვაგონების მეთვალყურე ხაჩიტარია დანით ხელში შევარდა კანტორაში და თავს დაეცა ჯერ სადგურის უფროსის თანაშემწეს დანილოვს და შემდეგ სადგურის უფროსს რუსანოვს. ორივენი მსუბუქად დასჭრა. ხაჩიტარია შეიპყრეს.

✦ ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა, პალატის უფროსი თავმჯდომარის ბ-ნ ერასკის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე შორაპნის მაზრის, დაბა ქიათურის სამღვდო სამრეწველო ბოქაულად ნამყოფის ნესტორ ნიკოლოზის ძის არდიშვილისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი ის დაუდევრობა ედებოდა ბრალად, რომ მას დაეკარგა რევოლვერი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ცქიტიშვილის ქურდობისა, რომელსაც 1896 წელს ვითომც ანტონ სანიგაძე გაექურდოს და მოპარული ნივთები სადგურ ხაშურში გაეყიდნოს. რევოლვერის დაკარგვა ერთის წლის შემდეგ შეუტყვია არდიშვილს, როცა თვით გამომძიებელს გამოუკითხავს. მანამდე კი ჰგონებია, რომ იგი უკვე წარდგენილი იყო დანიშნულებისამებრ. ბრალდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ ის ყუთი, სადაც რევოლვერი ინახებოდა, დაკეტილი მქონდა და მისი ამოღება არავის შეეძლო იქიდანაო, ხოლო იმავე წელს დიდი ნიაღვრების დროს წყალი სახლში შემომივარდა და როცა შემდეგ გავსინჯე ყუთი, გატეხილი დამხვდა წყლისაგან, ნივთები, გადმოყრილი, და შესაძლებელია მაშინ დაიკარგა ის რევოლვერიო. პალატამ დამნაშავედ იცნო ნ. ნ. არდიშვილი აღნიშნულ ბრალდებაში და გადაუწყვიტა გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური.

✦ ამავე დღეს პალატამ განიხილა საქმე დაბა საჩხერის ბოქაულად ნამყოფის გაბრიელ იოსების ძის ფიცხელაურისა, რომელსაც ბრალად ედებოდა 1898 წლის 28 თებერვალს დაბა საჩხერეში ამავე დაბის მცხოვრების მალაქია კაპანაძის ჯოხითა და ხელით გალახვა და 1896 წელს თავის კანცელარიაში ხარკის ამკრების დათია ასანიძის გალახვა. ამ საქმეებისა გამო სამოსამართლო პალატაში გამოწვეულ იქმნენ 14 მოწამე, რომელთაგან კაპანაძის საქმის მოწამე სანდრო ჩარკვიანმა და და სხვათა განაცხადეს, რომ მათ დაინახეს, როცა ბოქაულმა ფიცხელაურმა ერთჯერ დაჰკრა ზურგში ჯოხი კაპანაძეს და როცა მეორეჯერ დაუპირა, მაშინ სხვები მიეშველნენ და გამოაცალეს ხელიდანაო, ხოლო მეორე საქმის ასანიძის გალახვის შესახებ მოწმემ დიმიტრი ჰიდლაძემ განაცხადა, რომ მე, პავლია ჰიდლაძე, და დათია ასანიძე დაგვიბარა ბოქაულმა იმის გამო, რომ ჩვენ დაგვრჩა მოუკრებელი მღვდლისათვის სამი მანეთი. როცა მივედით, ბოქაულმა პასუხი არ გვაცალა, ისე ეცა პავლიასა და დათია ასანიძეს და დაუწყო ცემა, ამ დროს უცებ უკან დაიხია პავლიამ და ისე ძლიერ დამეცა, რომ წავიქეცი. შემდეგ მათ კარში გაასწრეს და გაექცნენ ბოქაულს, რომელიც გამოუდგა უკან. მე კარებს უკან დავიმალე და არ დამინახავს ბოქაულმა გაარტყა ხელი ასანიძეს ყურის ძირში თუ არა, მხოლოდ კარგად მახსოვს—ტკაცანის ხმა მომესმაო. ესევე აჩვენეს ზოგიერთმა მოწმემაც. ბოქაულმა თავი დამნაშავედ არ იცნო. ბრალდებულის ვექილმა ბ-ნმა გ. რუზენბერგმა განაცხადა, რომ ასანიძის საქმის საჩივარს თავის ვადა გაუვიდა და მოისპოსო, ხოლო რაც შეეხება კაპანაძის გალახვის საქმეს, გთხოვთ ბოქაული ფიცხელაური ამ დანაშაულობისათვის დააჯარიმოთო. რამდენიმე ხნის შემდეგ პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც პირველი საქმე უყურადღებოდ იქმნა დატოვებული, ხოლო მეორეში დამნაშავედ იცნო ქ. განჯის ბოქაული გაბრიელ იოსების ძე ფიცხელაური და გადაუწყვიტა 7 დღით ციხეში დაპატიმრება და საქმის საწარმოებელ ხარჯის გადახდევინება.

✦ კუნძულ ჩილიკენდზე გეოლოგები იკვლევენ ნიადაგს ნავთის აღმოსაჩენად. ამოთხრილ ჭებში ნავთი აღმოჩნდა, მაგრამ რადგანაც შადრევანად არ ამოდის იგი, ამისათვის კვლავ სთხრიან, თუმცა ნავთის წრემდე მივიდნენ.

✦ ბაქოში ნავთის წყაროების გასაცემად დანიშნულ ვაჭრობაზე ნავთის ფასი ფუთზე 12 კაპეიკამდე ავიდა.

✦ მუღანის მინდორზე დაიწყება სარწყავ არხების გაყვანა. განზრახვა აქვთ 15,000 დესეტინა შეიმუშავონ ისე, რომ გამოდგეს დასასახლებლად.

✦ ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, პოლიციის მეცხრე ნაწილში, მიხეილის პროსპექტზე, № 87-ში ნახეს ტყვიით მარჯვენა საფეთქელში დაჭრილი თავ. წულუკიძე. იქვე უნახავთ დაგდებული რევოლვერიც. მიხეილის საავადმყოფოში ექიმების შემოწმებით წულუკიძის გადარჩენა საეჭვოა. მიზეზი ასეთი შემაწუხებელ გარემოებისა ჯერ არ იციან.

✦ ბოლოს დროს ტფილისის ბაზარზე მეტად აიწია იმ სანოვაგეს ფასებმა, რომელზედაც ნიხრი არ არსებობს, მაგალითად, კვერცხის, თევზეულობის ღ სხვა და სხვა. კონტროლი მეტად გაძნელებულია იმის გამო, რომ ვაჭრები პოლიციის მოხელეთ ერთ ფასსეუბნებიან და მყიდველთ მეორეს. ამიტომ ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ სანოვაგის ვაჭრებმა თავიანთ დუქნებში თვალსაჩინო ადგილზე ჩამოჰკიდონ სია იმისა, თუ რა და რა სანოვაგე როგორ ღირს. მაშინ კონტროლი ნორმალურ ფასებისა გაადვილებული იქნება.

✦ რედაქციას მოუვიდა სურათი „ჯგუფი ქართველ მწერლებისა“, რომელშიაც მოთავსებულია რამდენიმე ქართველ მწერლის სურათი. სასიამოვნოა ამ გვარი სურათების გამოცემა ხალხის გასაცნობად, მაგრამ ყოველ ამ გვარ შრომას უნდა ჰქონდეს რაიმე სისტემა. ამ სურათში გამოტოვებულია რამდენიმე ფრიად ცნობილი ქართველი მწერალი მაშინ, როდესაც მოთავსებულია ისეთი პირების სურათებიც კი, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში მთლიანი, ორიგინალური ნაწარმოები არა ჰქონიათ. გარდა ამისა, საჭიროა სურათებს სახელისა დამაგვარის წარწერა ნათლად ჰქონდეს. სურათის ლარს 1 მ. 20 კ. ფასი, ჩვენის აზრით, ძვირია.

# თეატრი

**ქართული თეატრი.** ნიჭიერმა არტისტმა ვ. აბაშიძემ თავისს საბენეფისოდ, ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, დადგა ახალი პიესა პ. დე კურსელის მელოდრამა „ორი ჯიბგირი“. თუმცა ამ პიესას ფრანგულ და რუსულ სცენებზე ბრწყინვალე წარსული ჰქონია, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს კიდევ, რომ პიესა უეჭველად კარგია. „ორი ჯიბგირი“ ტიპიური მელოდრამა არის. მისი შინაარსი რთულია, და თვით მელოდრამაც მეტად გაგრძელებულია, ისე რომ, შინაარსის მოყვანა მეტად მიგვაჩნია; მით უფრო, რომ შინაარსი ჩამოჰგავს „ორი ობოლი“-სა და „პარიზელი ლატაკი“-ს შინაარსს. იგივე უზნეო გარყვნილი ქურდები, რომელთაც ჩაუვარდებათ ორი პატიოსანი ბავშვი ხელში, იგივე მოულოდნელი ეფექტები, სანტიმენტალური და ტრაგიკული სცენები, რომელთაც მხოლოდ გრძნობაზედ მოქმედება აქვთ სახეში და არავითარი კავშირი სინამდვილესთან არა აქვთ.

„ორი ჯიბგირი“ ტიპიური მელოდრამა არის, ვსთქვით ჩვენ, და ყველა მელოდრამას გადააჭარბებს თავისი მელოდრამატიზმით, იმდენი ტრაგიკული სიკვდილია სცენაზედ, ბავშვების ტანჯვა-წვალება, ჰლექიანი ბავშვი თავისი საცოდავი ხმით და ხველებით, ჯიბგირებისა და ქურდების ავკაცობა; ასე რომ ძალიან მაგარი ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ გაუძლოს მთელი ხუთის გრძელის და უგრძელესის მოქმედების განმავლობაში ამის მოსმენას. ნამდვილი „როკამბოლი“ გვგონებათ სცენაზე წარმოდგენილი.

მობენეფისე კარგი იყო თავის როლში, მაგრამ მაინც შეეძლო ცოტა თავისებურობა შეეტანა თამაშში და არ ყოფილიყო ისეთივე, როგორც პარიზელ ლატაკში და ამისთანავე „ორ ობოლში“. მისი საუკეთესო როლები—ჩვენებურ პიესებშია, და სამწუხაროდ, ჩვენს რეპერტუარში თარგმნილი, და ისიც როგორი ამორჩეული პიესები სჭარბობენ. მეტად კარგი იყო ტასო აბაშიძე. ამ არტისტს ჩინებული მომავალი ექნება, თუ რომ ცოტა შრომასაც დაუმატებს თავის ნიჭს: მეტად მკვირცხლად, შეგნებულად და თავისებურად შეასრულა მან თავისი როლი. მხოლოდ ცოტა შარჟი ეტყობა მის თამაშს, და ცოდვა იქ-

ნება, რომ ახალგაზდა არტისტი ქალი ქანდარის ტაშის ცემის გულისათვის დაამახინჯებს თავის ღვთისაგან მინიჭებულ ნიჭის შარჟი არის ნიჭის საფლავი და ხელოვნებითი ზომიერება ყოვლად საჭიროა არტისტისათვის.

ეფ. მესხისა კარგი იყო; შეგნებულად და სვინიდისიერად შესრულა როლი. ქ. გაბუნია-ცაგარლისამ ცხოვლად წარმოადგინა ლოთი და უზნეო ზეფირინა, თუმცა ამ არტისტსაც ეტყობა შარჟი და გადაჭარბება თამაშში. კოტე მესხი თავის ადგილას იყო, და როგორც ყოველთვის სვინიდისიერათ შესრულა როლი. ქ. გარელიც კარგი კლოდინე იყო. საზოგადოდ წარმოდგენა კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თამაშის მხრით; ოღონდ პიესების ამორჩევა უფრო რიგიანი არის საჭირო და არტისტებისაგან უფრო მოვლა და გაფრთხილება თავის ნიჭისა. აბაშიძეს საჩუქრები მიართვეს.

—

**„ჩაროდეიკა“** (მომხიბლავი) **ოპერა ჩაიკოვსკისა.** ეს ოპერა ჩაიკოვსკის ოპერათა შორის სუსტი ოპერათაგანია. საზოგადოებაზე არ ახდენს მთლიანს, სერიოზულს შთაბეჭდილებას. ნიჭს ჩაიკოვსკისას, რასაკვირველია, თავისი გააქვს და ოპერაში რამდენიმე ადგილი ხელოვნურად არის დაწერილი. მაგალითად, მეორე მოქმედებაში ხოროს პარტია, მეორევე მოქმედებაში კურლიატევის არია, ან მეოთხე მოქმედებაშ ნასტასიას არია. ჩაიკოვსკის ოპერებში საზოგადოდ ორკესტრის საკრავი უფრო კარგად არის ხოლმე. დაწერილი. ეს ამ ოპერაში უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატება, იქმნება იმიტომაც, რომ როგორც ზევით ვთქვით, სასიმღერო ადგილები უფრო სუსტია და მსმენელთა ყურადღებას ორკესტრი უფრო იზიდავს. მუსიკას ამ ოპერაში არა აქვს ერთი ხასიათი თავიდან ბოლომდე. დაწყებულია მელოდიურის კილოთი და ბოლოს ორ მოქმედებაში კი ჰღალატობს ამ კილოს.

მომღერალთა შესახებ აღსანიშნავნი არიან: სვეტლოვი კურლიატევის როლში; ამ არტისტს ჩინებული ხმა აქვს, მაგრამ ძალიან მალე იღლება, ამისათვის ბოლომდე ერთნაირის ხმით ვერა მღერის. კარგები იყვნენ პლატონოვისა კურლიატევის მეუღლის როლში და ასტაფიევისა ანასტასიას პარტიაში.

—

16-ს ნოემბერს წარმოადგინეს ძველი ოპერა „ტრავიატა“, მუსიკა ვერდისა. შესანიშნავი ამ საღამოს ის იყო, რომ ვიოლეტას პარტიას პირველად მღეროდა ქ-ნი კუნცოვისა. სამწუხაროდ, თეატრში ცოტა ხალხი იყო და მოსცდნენ სიამოვნებას, რომელიც გამოიწვია ქ-ნ კუნცოვის მშვენიერმა თამაშობამ და ხმამ. პირველ მოქმედებაში განსაკუთრებულის ხელოვნებით და გემოვნებით გაატარა მთელი თავისი პარტია. ხმაც მშვენივრად აქვს შემუშავებული და მოქნილი, ასე რომ ძნელი ადგილი, სადაც ხმის რაკრაკია საჭირო, ძალიან კარგად იმღერა. კარგები იყვნენ ერნსტი ალფრედის პარტიაში და კამიონსკი მისის მამის ჟერომის პარტიაში.

## საღამოს დეპეშები

**17 ნოემბერი**

**ლივადია,** 17 ნოემბერი, დილის 11 საათზე. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და წუხანდელი ღამე კარგად გაატარა. თვითგრძნობიერება ჯეროვანი აქვს. საღამოს 9 საათზე ტემპერატურა 36,4, მაჯა 60; დღეს დილით—35,8, მაჯა 62. ლეიბ-ხირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი, ექიმი ტიხონოვი.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება, რომ პოლკოვნიკ ბარკერს დევეტსდორპზედ გალაშქრების დროს უნახავს ბურები, რომელთაც მაგარი პოზიციები ეჭირათ; ბარკერს იერიში მიუტანია ბურებზედ და იერიშის დროს დაუკარგავს სამი კაცი. პოლკოვნიკი პლუმერი იერიშით მივიდა დევაგენდრიფტის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მყოფ ბურების რაზმზედ, რომელსაც 500 კაცი შეადგენდა, და შემოუარა მათ მარჯვენა ფრთას. ბურებმა უკან დაიწიეს და ბრძოლის ველზედ სამი კაცი დასტოვეს მომკვდარი. ინგლისის მეორე რაზმი 10 ნოემბერს წავიდა ვიფლეემისაკენ და ნახა ბურები, რომელთ მძლავრი პოზიცია ეჭირათ ტიგერკლოფში. სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტრის პოზიცია აღებულ იქმნა. ინგლისელებს ორი კაცი მოუკლეს, მათ შორის ერთი პორუჩიკი; სამი დაჭრილია, მათ შორის ერთი მაიორი.

**იოჰანესბურგი.** დევეტსდორპზე 8 ნოემბერს ბურები იერიშით მივიდნენ და 11 ნოემბერს დაიპყრეს იგი. 13 ნოემბერს დევეტსდორპი გენერალმა ნოკსმა გაანთავისუფლა მტრისაგან და ეხლა სდევნის მტერს. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

**პეკინი.** გუშინ მოვიდა გრაფი იორკის შიკრიკი, რომელიც სასწრაფოდ არის გამოგზავნილი, რომ წაიყვანოს ექიმი პოლკოვნიკ იორკისათვის შიკრიკმა ამბავი მოიტანა, რომ, რაზმის ქალაქში ყოფნის დროს, იორკს ეძინა ისეთ სახლში, რომელშიაც, ჩინური ჩვეულებისამებრ, ცეცხლს ანთებენ დახშულ ბუხარში და ამიტომ მძინარეს თავ-ბრუ დაესხა; დილით იპოვნეს გრძნობა დაკარგული. ადიუტანტმა მთელი ორი საათის განმავლობაში გონზე ვერ მოიყვანა. პეკინიდან ექიმი დაუყოვნებლივ წავიდა იორკთან. იორკის კოლონას თითონ ვალდერზეე მოიყვანს უკანვე პეკინში.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენტო“ გელვეციაფერმიდან იტყობინება 14 ნოემბრის რიცხვით: „პოლკოვნიკ პილჩერის ჯარს, რომელიც ჰმოქმედობს პოლკოვნიკ ბარკერის რაზმთან ერთად გენერალ ნოკსის მთავარ-სარდლობით, დღეს, დევეტსდორპიდან დევეტის გამოკიდების დროს, მცირე ბრძოლა ჰქონდა ბურებთან. მოწინაალმდეგე ესროდა ბრიტანიის ბატარეიას თხუთმეტ გირვანქიან ზარბაზანს, რომელიც ბურებმა ხელთ იგდეს დევეტსდორპთან. უეჭველია, ბურებს ცუდ დროს მოასწრეს. შტეინი და დევეტი სისწრაფით დასავლეთისაკენ წავიდნენ. ინგლისელებმა წაართვეს სანოვაგით და ტანსამოსით სავსე ორი ფურგონი და სამასამდე ცხენი. უეჭველია, ეს ფურგონები ბურებმა დევეტსდორპთან ჩაიგდეს ხელში. ინგლისელებს ერთი მოუკლეს და ექვსი დაუჭრეს. რამდენიმე დაჭრილი ბური იპოვეს. როგორც იტყობინებიან, დევეტისა და შტეინის ბანაკი იმყოფება ინგლისელთა პოზიციისა და რკინის გზის ლიანდაგის შუა. ინგლისელთა ბანაკი იმყოფება სმიტსფილდის ჩრდილოეთით 24 მილის მანძილზედ, საითაც, როგორც იუწყებიან, ბურებს განზრახვა ჰქონდათ წასულიყვნენ, მაგრამ დღევანდელმა ბრძოლამ დევეტის ჯარი სამ ნაწილად გაჰყო. სმიტსფილდის მეციხოვნე რაზმს ჩინებული პოზიცია უჭირავს. დევეტის რაზმს ოლქიდან ბევრი ფერმერები უერთდებიან.“

**ბუხარესტი.** პალატამ პალატის პრეზიდენტად ამოირჩია გიორგი— კანტაკუზენი, ვიცე-პრეზიდენტებად იკონომო დელავრანცევი, კამარგესკი და განო. სენატმა პრეზიდენტად ამოირჩია ბორესკი, ვიცე-პრეზიდენტებად კოგოლნიჩანო, იანოვი, თედორე ვარანესკი და გრიგორი ოლანესკი.

რედაქტორი: ალ. ჭყონია. გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.


# განცხადებანი

სანერგე ამერიკული ვაზებისა

**ბაღი „ქგურული“**

სოფ. დიმი, ქუთაისის მაზრა.

**გაიყიდება** შემოდგომაზედ ამა 1900 წლისა ასი ათასი დამყნილი ამერიკული

**ვ ა ზ ი**

ადგილობრივი ჯიშის., სახელდობრ: საფერე, ოცხანური საფერე, კრახუნა, ცოლიკოური, მწვანე, მაღლარი, (ანდასეული) და ევროპიული ჯიშისა: კაბერნე, სემილიონი, პინო და უმეტეს ასი სხვა-და-სხვა ჯიშის სტოლის ღვინოებისა და ამერიკული ნაყოფის მომცემ ვაზებისა. აქვე შეიძლება დაკვეთა სხვა-და-სხვა ამერიკულ და ევროპიულ სანამყენოსი, აგრეთვე დამყნილი და მირეული ვაზებისა 1901 წლისათვის.

წერილების და დეპეშების ადრესი:—ქუთაისი, ვ. ტიებო.

(12—9)

**დაიბეჭდა და იყიდება** წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **ზ. არაგვისპირელის**

**პირველი წიგნი**

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდება მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Ноября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბა. განქის დიდი ქუჩა, № 27.